

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის
N33 ბინაზე, მოქალაქე შალვა გოლეტიანისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის N33 ბინაში მცხოვრები მოქალაქე შალვა გოლეტიანის განცხადებები /2013 წლის 17.06 Nგ-6454, 12.07 Nგ-7346/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის N33 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის N33 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე შალვა გოლეტიანს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის N33 ბინაზე /საერთო ფართობი 24,60 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 24,60 კვ.მ./ მოქალაქე შალვა გოლეტიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი